განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

კიბერუსაფრთხოების ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
21.02.2022-22.02.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
05.04.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი (აშშ)
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	1.შპს კავკასიის უნივერსიტეტი - 205050567 2.ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი - 185129
დაწესებულების სახე	1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი - უნივერსიტეტი 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი - უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კიბერუსაფრთხოების ერთობლივი პროგრამა Joint Program in Cyber Security
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	1. კავკასიის უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კომპიუტერულ მეცნიერებაში / Bachelor of Science in Computer Science 2. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი - მეცნიერების ბაკალავრი კიბერუსაფრთხოებაში / Bachelor of Science in Cyber Security
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0613 - პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის	-

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	200
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ჯოფრი ნორმან დიკი, წმინდა ჯონის სახელობის უნივერსიტეტი, აშშ
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამთა ცხოვრებაძე, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია, სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ბეროშვილი, შპს ნეიტრინო, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით კაკიაშვილი, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

წინამდებარე პროგრამა წარმოადგენს კიბერუსაფრთხოების სამწლიან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას. ეს არის ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა შპს კავკასიის უნივერსიტეტსა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტს შორის. ის კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს საშუალებას აძლევს დაიწყონ სამწლიანი (200 კრედიტიანი) ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა კავკასიის უნივერსიტეტში, ისწავლონ 2 წლის განმავლობაში და მიიღონ ერთობლივი ბაკალავრის ხარისხი კიბერუსაფრთხოებაში კრედიტების ტრანსფერისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში 1 წლიანი სწავლების გზით. ყველა სტუდენტი გაემგზავრება ნიუ-ჯერსიში და გაივლის 5 კურსს ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში პირისპირ სწავლების საშუალებით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა როგორც კამპუსში, ისე ონლაინ ზუმის პლატფორმის საშუალებით ორშაბათს და სამშაბათს, 2022 წლის 21 და 22 თებერვალს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიკოსებს, ოფიციალურ პირებს, სტუდენტებს და გარე დაინტერესებულ მხარეებს. ასევე ჩატარდა ნიუ-ჯერსის უნივერსიტეტის ობიექტების მოკლე ვირტუალური მიმოხილვის ტური.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა აკმაყოფილებს ხუთივე აკრედიტაციის სტანდარტს, რომლის მიხედვითაც იგი შეფასდა მეტწილად შესაბამისობის ან მის ზემოთ დონეზე (მხოლოდ ერთ შემთხვევაში იყო ქვეკომპონენტი შეფასებული, როგორც მეტწილად შესაბამისი (1.2 ქვეკომპონენტი), ყველა დანარჩენი იყო სრულ შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან).

- **რეკომენდაციები:**

რეკომენდირებულია, რომ პროგრამამ სწავლის თითოეული შედეგისთვის შეიმუშაოს შესრულების ინდიკატორების ყოვლისმომცველი ნაკრები და შემდეგ განსაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ეს შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, იმას, თუ რამდენად კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე კურსის ნაკლებად დაყოფილი საერთო შეფასება.

- **რჩევების შეჯამება**

ექსპერტთა ჯგუფი პროგრამის ადმინისტრაციას საქართველოში ურჩევს მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებთან, რათა პროგრამა ყოველთვის იყოს თანამედროვე და ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისი; საჭიროა მუშაობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან, რათა კიბერუსაფრთხოება დაემატოს საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკაციას და მოხდეს შესაბამისი ხარისხის მინიჭება; ორივე დაწესებულებამ უნდა იფიქროს ცენტრალიზებული შეფასებისა და ადმინისტრირების სისტემაზე, ხარისხის უზრუნველყოფის საერთო შეფასებისა და მონიტორინგის ელექტრონულ პლატფორმაზე; მათ უნდა მოაწყონ ოფიციალური და/ან არაოფიციალური შეხვედრები ორივე დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის, რათა შექმნან პლატფორმა

გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის დაშვების წინაპირობები დაიწეროს ისე, რომ ნათლად მიუთითებდეს (როგორც წერია ხელშეკრულებაში) შემდეგს: სტუდენტები ცალკე განაცხადს აკეთებენ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში და მოეთხოვებათ მინიმუმ 90 ECTS ფლობა და "C1-ის" მოპოვება ყველა საგანში.

ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სასარგებლო იქნება ლაბორატორიულ ან პრაქტიკულ სამუშაოებში მიღწეული სწავლის შედეგების უფრო ღრმა ანალიზი, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებისთვის საჭირო პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების კუთხით.

- **ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის შესახებ:**

ინსტიტუცია გაეცნო ,,კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი, ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნის პროექტს და მათი მხრიდან ზემოაღნიშნულ დოკუმენტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით შენიშვნები არ ფიქსირდება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

შეფასების ჯგუფი თვლის, რომ ორივე დაწესებულებაში დიდი ენთუზიაზმია პროგრამის მიმართ - ეს ერთობლივი ადმინისტრაცია, მიზანი და პრაქტიკა ხელს შეუწყობს მაღალ აკადემიურ სტანდარტებსა და სტუდენტების მიღწევებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები, რომლებიც მოიცავს ორივე დაწესებულებაში სწავლას და ითვალისწინებს ინსტრუქტორების გაცვლას ნიუ-ჯერსიდან თბილისში. მიზნები ორიენტირებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მნიშვნელოვან და აქტუალურ საჭიროებაზე არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. მიზნები დაკავშირებულია და ასახულია სწავლის შედეგებთან და შეიძლება გამოითვალოს სტუდენტების მიერ გავლილი ინდივიდუალური კურსების მიხედვით. ისინი რეალისტური და მიღწევადია და მიზნად ისახავს კურსდამთავრებულებში განავითაროს დასაქმებისთვის აუცილებელი და მოთხოვნადი უნარები და შესაძლებლობები. ისინი შეესაბამება უნივერსიტეტების მისიის განაცხადს. ორივე უნივერსიტეტი ცდილობს გააუმჯობესოს საგანმანათლებლო, ინტელექტუალური, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური და ფიზიკური გარემო და მოამზადოს კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და მორალური პროფესიონალები. პროგრამა ითვალისწინებს პოტენციური დამსაქმებლების ადგილობრივ საჭიროებებს და საზოგადოების მოთხოვნებს. როგორც ჩანს, პროგრამას მხარს უჭერს ორივე დაწესებულების უფროსი მენეჯმენტი და აკადემიური პერსონალი. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა საწყის ეტაპზეა და მომავალ წლებში შესაძლოა საჭირო გახდეს პროგრამის მიზნების ხელახალი შეფასება იმის დასადგენად, მიღწეულია თუ არა ისინი. ჯერ ნაადრევია ამ შეფასების განხორციელება პროგრამის განვითარების ამ ეტაპზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ინდივიდუალური კურსის სილაბუსების შემუშავება სწავლის შედეგების მეშვეობით, როგორც ეს მოცემულია თვით-შეფასებაში; ○ დეტალური გაშუქება თვით-შეფასების ანგარიშში; ორივე დაწესებულების მხრიდან პროგრამაში შეტანილი დიდი წვლილი, რაც გამოჩნდა დაწესებულებაში ვიზიტისას და პროგრამის ხელმძღვანელობასთან დისკუსიების დროს.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის მომწიფებასთან ერთად, განხორციელდეს პროგრამის მიზნების უწყვეტი მიმოხილვის სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი: ა) მუდმივი აქტუალობა და ბ) მიღწევა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- შეფასების ჯგუფი თვლის, რომ ორივე დაწესებულებაში დიდი ენთუზიაზმია პროგრამის მიმართ - ეს ერთობლივი ადმინისტრაცია, მიზანი და პრაქტიკა ხელს შეუწყობს მაღალ აკადემიურ სტანდარტებსა და სტუდენტების მიღწევებს.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის მითითებული

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში შემუშავებულია პროგრამის მიზნებზე დაფუძნებული სწავლის შედეგები (სულ 8), რომლებიც ჩართულია ინდივიდუალური კურსის სილაბუსებში. ისინი კვეთენ ორივე დაწესებულებაში განხორციელებული პროგრამის ელემენტებს, არის მკაფიო და პროგრამის შესაბამისი და წარმოადგენს იმას, რასაც ექსპერტთა ჯგუფი აღიქვამს შესაბამისი უნარების ნაკრებად. დაგეგმილია სწავლის შედეგების მიღწევის

რეგულარული განხილვის პროცესი. პროგრამის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი აცნობიერებს მუდმივი გაუმჯობესების აუცილებლობას და მათ უკვე დაიწყეს მისი შეფასების პროცედურების შემუშავება. თვით-შეფასების ანგარიშში მოწოდებული რუკა მიუთითებს, რომ თითოეულ შედეგს აფასებს მრავალი შემფასებელი, სხვადასხვა დონის კურსების განმავლობაში ორივე დაწესებულებაში - შედეგად ამას მოყვება საქართველოში და ნიუ-ჯერსიში მასალის შემუშავება და სტუდენტების სწავლისთვის მისი მიწოდება როგორც შესავალ, ისე მაღალ საფეხურებზე. შემუშავებული კურსის მასალა შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს. შემუშავებულია შეფასების სისტემა, რომელმაც უნდა შეაფასოს სტუდენტების მიღწევები. სტუდენტებმა განაცხადეს, რომ იღებენ უკუკავშირს მათი პროგრესის შესახებ. თუმცა, როგორც ჩანს, სწავლის შედეგების მიღწევა შეფასდება კურსის დონეზე. ზოგი კურსისთვის ეს შესაფერისი იქნება, ზოგისთვის ნაკლებად. აქ შეიძლება გამოგვადგეს ერთი მაგალითი: სწავლის შედეგი, როგორიცაა „პრაქტიკაში გამოიყენებს პროგრამირების პრინციპებს, კომპიუტერულ სისტემებს, უახლეს მიდგომებსა და ტექნოლოგიურ ინსტრუმენტებს“ შესაძლოა შეფასდეს ამ საკითხებზე ორიენტირებული კურსის დასრულებით. თუმცა, კურსის დასრულება, სადაც მიღწეული უნდა იქნეს შემდეგი - „ახორციელებს ინციდენტზე რეაგირების აქტივობებს და ეხმარება კიბერდანაშაულის გამოძიებას“ ან „აფასებს და სხვებს უზიარებს ტექნოლოგიასთან დაკავშირებულ ღირებულებებს, ეთიკურ და სოციალურ პასუხისმგებლობებს“, შეიძლება არ იყოს კარგად შეფასებული კურსის საერთო გამსვლელი შეფასებით. იხილეთ ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ნიუ ჯერსის პროგრამასა და აშშ-ს უსაფრთხოების სააგენტოებს შორის მოხდა მნიშვნელოვანი დაკავშირება, რამაც გამოიწვია სწავლის შედეგების კარგი დაჯგუფება. თუმცა, საქართველოს მხრიდან მცირე მტკიცებულება ჩანდა მსგავსი მჭიდრო ურთიერთობის შესახებ. მივიჩნევთ, რომ ეს სასარგებლო იქნება პროგრამის გრძელვადიანი განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ კურსის სილაბუსები; ○ ინტერვიუები და დისკუსია აკადემიურ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელობასთან.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია, რომ პროგრამამ სწავლის თითოეული შედეგისთვის შეიმუშაოს შესრულების ინდიკატორების ყოვლისმომცველი ნაკრები და შემდეგ განსაზღვროს სტუდენტის ცალკეული ამოცანები (ამ შესრულების ინდიკატორებზე დაყრდნობით), რომელიც განსაზღვრავს მიღწეულია თუ არა სწავლის შედეგი. ეს შეიძლება მოიცავდეს პროექტებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, დავალებებს, ტესტებს, იმას, თუ რამდენად

კარგად მუშაობენ სტუდენტები გუნდებში და ა.შ., ვიდრე კურსის ნაკლებად დაყოფილი საერთო შეფასება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია, რომ პროგრამის ქართულმა ადმინისტრაციამ დაამყაროს მჭიდრო სამუშაო ურთიერთობა საქართველოს უსაფრთხოების სამსახურებთან, რათა პროგრამა იყოს თანამედროვე და ადგილობრივი საჭიროებების შესაბამისი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის მითითებული
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კიბერუსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი: სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული საშუალო განათლების სახელმწიფო ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მფლობელს, რომელიც ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ჩარიცხვა შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაბარების გარეშე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს: ვინაიდან ეს არის ერთობლივი პროგრამა ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტთან, არსებობს მოთხოვნა, რომ განმცხადებელს უნდა ჰქონდეს ინგლისური B2 დონის სერტიფიკატი (IELTS-6.0; TOEFL-78; ან ექვივალენტური დოკუმენტი). თუ აპლიკანტს არ აქვს ასეთი სერტიფიკატი, მაშინ მან უნდა გაიაროს უნივერსიტეტის შიდა გამოცდა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და ასახულია პროგრამის აღწერაში. პროგრამაში მობილობის გზით ჩარიცხვა შესაძლებელია კანონის შესაბამისად. მიღების პროცედურა და მხარეთა პასუხისმგებლობა ნათლად არის მოცემული კავკასიის უნივერსიტეტსა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ შეთანხმების მემორანდუმში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა; ○ კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის შეთანხმების მემორანდუმი; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის დაშვების წინაპირობები დაიწეროს ისე, რომ ნათლად მიუთითებდეს (როგორც წერია ხელშეკრულებაში) შემდეგს: სტუდენტები ცალკე განაცხადს აკეთებენ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში და მოეთხოვებათ მინიმუმ 90 ECTS ფლობა და "C1-ის" მოპოვება ყველა საგანში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის მითითებული

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კიბერუსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება ინსტიტუციის დებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესებს, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმებით და აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებებით. პროგრამის სწავლების ენაა ინგლისური. ის წარმოადგენს ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელებულ 3-წლიან ერთობლივ პროგრამას. პროგრამა შედგება 200 ECTS (120 აშშ) კრედიტისაგან, აქედან 175 ECTS კრედიტი ეკუთვნის სავალდებულო კურსებს, ხოლო 25 ECTS კრედიტი – არჩევით კურსებს. პროგრამაში მითითებული კურსები ადეკვატურია და მათ აქვს წინაპირობები.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო თითქმის ყველა დაინტერესებული მხარე (სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა არ იცოდნენ პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი). პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის შემუშავებაში ჩართული იყო ორივე უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. პროგრამა ძირითადად ორიენტირებულია დარგის თანამედროვე განვითარებაზე და შექმნილია იმისთვის, რომ ფართოდ უზრუნველყოს როგორც კიბერუსაფრთხოებისთვის საჭირო თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარება. კავკასიის უნივერსიტეტი ანიჭებს ბაკალავრის ხარისხს კომპიუტერულ მეცნიერებებში, ვინაიდან კიბერუსაფრთხოება არ არის მითითებული საქართველოს სწავლის სფეროების კლასიფიკაციაში. ამრიგად, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა მეტ-ნაკლებად მოიცავს კომპიუტერული მეცნიერების შესასწავლად საჭირო ყველა საბაზისო კურსს. კომპიუტერული მეცნიერების ზოგად კურსებსა და კიბერუსაფრთხოების კონკრეტულ კურსებს შორის კარგი ბალანსია დამყარებული. ამრიგად, მინიჭებული ხარისხი ადეკვატურია, მაგრამ უკეთესი იქნება, რომ მითითებული იყოს კიბერუსაფრთხოება. ექსპერტთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ უნივერსიტეტი გააგრძელებს მუშაობას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად, რათა კიბერუსაფრთხოება დაემატოს სწავლის სფეროების კლასიფიკაციაში. სრული ინფორმაცია პროგრამის შესახებ გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ უნივერსიტეტის ვებგვერდი.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მუშაობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან ერთად, რათა კიბერუსაფრთხოება დაემატოს საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს და მინიჭებულ იქნას შესაბამისი ხარისხი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

○ არ არის მითითებული
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კიბერუსაფრთხოების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სპეციალობის კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. პროგრამაში კურსების შინაარსი შეესაბამება ბაკალავრის საფეხურს. თითოეული კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება მოცემული კურსის შინაარსს. კურსებზე გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათები შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. აღსანიშნავია, რომ კავკასიის უნივერსიტეტი 1 ECTS კრედიტს თვლის 25 საათად, ხოლო ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი US კრედიტებს – 37,5 საათად. ამრიგად, არის კურსები, რომლებსაც კავკასიის უნივერსიტეტში აქვს 5 ECTS კრედიტი, მაგრამ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში – 3 US კრედიტი (ამიტომ კავკასიის უნივერსიტეტში პროგრამა შედგება 200 ECTS კრედიტისგან, ხოლო ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში – 120 US კრედიტისგან). საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა შეესაბამება თითოეული კურსის სპეციფიკას. თითოეულ კურსში სწავლის მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული სამუშაო და ა.შ.) შერჩეულია ისე, რომ შეესაბამებოდეს კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია კურსებზე. კურსების შინაარსი ვითარდება შესავალი ნაწილიდან უფრო რთულ თემებამდე. პროგრამა აგებულია თანმიმდევრობით - ძირითადიდან სპეციალურ კურსებამდე.

თითოეულ კურსს წინ უძღვის წინაპირობა ან კომპონენტი, რომელიც მოითხოვს ცოდნას ამ კურსის დასაუფლებლად. კიბერუსაფრთხოების საბაკალავრო პროგრამის საგანმანათლებლო კურსები უზრუნველყოფილია თანამედროვე ლიტერატურით: სახელმძღვანელოებით, მეთოდოლოგიური ინსტრუქციებით და სხვა. კურსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; სილაბუსებში მოყვანილი სავალდებულო ლიტერატურა კარგი დანამატია დარგის მიღწევებისა და კვლევებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის მითითებული
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კიბერუსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას საბაკალავრო პროგრამის დონის შესაბამისად. პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელია იმ კურსების შესწავლა, რომლებიც მოიცავს ლაბორატორიულ და პრაქტიკულ მუშაობას. პრაქტიკული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს სპეციალურად შემუშავებული კურსები. აღსანიშნავია, რომ სასწავლო პროგრამა არ შეიცავს დარგის პრაქტიკას ან/და საბაკალავრო დისერტაციას, რაც ხელს შეუწყობდა პრაქტიკული და კვლევითი უნარების შემდგომ გაუმჯობესებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ კურსის სილაბუსები.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასარგებლო იქნება ლაბორატორიულ ან პრაქტიკულ სამუშაოებში მიღწეული სწავლის შედეგების უფრო ღრმა ანალიზი, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებისთვის საჭირო პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების კუთხით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის მითითებული
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა იყენებს სწავლების შემდეგ მეთოდებს:

- ზეპირი სამუშაო,
- წიგნებზე მუშაობა,
- წერილობითი სამუშაო,
- დემონსტრირება,
- შემთხვევის ანალიზი,
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა (PBL),
- ჯგუფური მუშაობა,
- თანამშრომლობითი სამუშაო.
- თითოეულ კურსში გამოყენებულია სწავლების რამდენიმე მეთოდი, რომლებიც უზრუნველყოფს კურსში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. ინტერვიუებმა აჩვენა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ცალკეული სტუდენტების საჭიროებებს, თუმცა პროგრამაში განსაზღვრული არაა სწავლებისა და შეფასების მეთოდები უცხოელი სტუდენტებისთვის, კულტურული და/ან სხვა საჭიროებების მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- კურსის სილაბუსები;
- ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, რომ პროგრამის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს პროგრამაში სტუდენტთა კულტურულ განსხვავებას და მათ საჭიროებების.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის მითითებული

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტთა შეფასება ტარდება დადგენილი პროცედურების დაცვით; ის არის სამართლიანი ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას; საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“.

სილაბუსებში შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსს და მის სწავლის შედეგებს; მიუხედავად იმისა, რომ პროგრამას აქვს საინტერესო და მოქნილი სწავლის შედეგები და სწავლების მეთოდების შეფასების კომპონენტები და მეთოდები, უკეთესი იქნება მათი დივერსიფიკაცია პროგრამის შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები სამართლიანია, ისინი

გამოქვეყნებული და წინასწარ ცნობილია სტუდენტებისთვის. სილაბუსები განთავსებულია სტუდენტების ელექტრონულ პორტალზე. მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურსების დაწყებამდე და გამოცდებამდე იღებენ საჭირო მითითებებს.

დებულება კავკასიის უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების წესის შესახებ განსაზღვრავს ლექტორის ვალდებულებას: გააცნოს სტუდენტებს გამოცდის შედეგები და მიაწოდოს მათ განმავითარებელი შეფასება. ასევე, განსაზღვრულია სტუდენტის მიერ ქულების (ნიშნის) გასაჩივრების პროცედურა, ინფორმაცია ამ პროცედურის შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. ლექტორი ვალდებულია სტუდენტებს გააცნოს შუალედური/ფინალური გამოცდის შედეგები და მისცეს მათ განმავითარებელი შეფასება. დეპარტამენტი აცნობებს სტუდენტებს შუალედური/ფინალური გამოცდის შედეგებს მათი მიღებისთანავე, ელექტრონული ნიშნების მონაცემთა ბაზაში (სტუდენტურ ელექტრონულ პორტალზე) გამოტანით. შუალედური/დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან სამი დღის ვადაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული შეფასება და მოითხოვოს შესწორებულ სამუშაოსთან გაცნობა. თუ სტუდენტს სურს ტესტის შედეგის გასაჩივრება, იგი წერს განცხადებას ადმინისტრაციისა და მონიტორინგის დარგში ვიცე-პრეზიდენტის სახელზე და დასაბუთებულად აღწერს, თუ რა ნაწილში არ ეთანხმება ლექტორის შეფასებას. ამის შემდეგ ლექტორი წარადგენს მოხსენებით ბარათს (დანართი 2), სადაც პასუხობს სტუდენტის განცხადებას და, საჭიროების შემთხვევაში, ცვლის შეფასებას. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი არ ეთანხმება ლექტორის გადაწყვეტილებას მის საჩივარზე, იგი წერილობით მიმართავს ვიცე-პრეზიდენტს ადმინისტრაციისა და მონიტორინგის დარგში, რომელიც ადგენს კომისიას საჩივრის საფუძველზე. კომისიაში შედიან: სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი, სკოლის წარმომადგენელი, უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი, ომბუდსმენი და დარგის სხვა შესაბამისი სპეციალისტები. იმ შემთხვევაში, თუ დარგის სპეციალისტის შეფასება რადიკალურად განსხვავდება საგნის ლექტორის შეფასებისგან, კომისია უფლებამოსილია მოიწვიოს დარგის გარე ექსპერტი. კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს ერთ-ერთ გადაწყვეტილებას შემდეგი ორიდან:

- უცვლელად ტოვებს საგნის ლექტორის შეფასებას;
- ცვლის საგნის ლექტორის შეფასებას.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, კავკასიის უნივერსიტეტის, ისევე როგორც ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის სტუდენტებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. რაც შეეხება გასაჩივრების პროცედურას, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იცოდნენ ამ პროცედურის შესახებ, მაგრამ არ იყენებდნენ. ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის სტუდენტებმა არ იცოდნენ ასეთი პროცედურის არსებობის შესახებ, რადგან არასდროს დასჭირვებიათ, მაგრამ აღნიშნეს, რომ თუ ასეთი სიტუაცია შეიქმნებოდა, ისინი თავისუფლად დაუკავშირდებოდნენ ლექტორს.

- უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ კიბერუსაფრთხოების პროგრამას აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - „კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“; შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი ახორციელებს სტუდენტების აკადემიური მიღწევების ეფექტურ მექანიზმებს და ადგენს აკადემიური პროცესის გაუმჯობესებაში მონიტორინგის შედეგების გამოყენების ინდექსს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დაწესებულებაში ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურსების სილაბუსები;
- დებულება კავკასიის უნივერსიტეტში გამოცდების ჩატარების წესის შესახებ;
- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- კავკასიის უნივერსიტეტის დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ;
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და მათი ეფექტურობის შეფასება;
- კიბერუსაფრთხოების ერთობლივი საბაკალავრო პროგრამა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის მითითებული

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშმა, უნივერსიტეტის მიერ მოწოდებულმა შესაბამისმა დოკუმენტებმა და დაწესებულებაში ვიზიტის ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ კავკასიის უნივერსიტეტსა და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ შესაბამისი კონსულტაციები და მხარდაჭერა სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. სასწავლო პროცესის დასაწყისში, კავკასიის უნივერსიტეტში ახლად ჩარიცხულ სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა, რათა გაეცნონ სასწავლო პროცესის ძირითად ასპექტებს. მათ უტარდებათ კონსულტაცია საგნების არჩევის, სტუდენტური ონლაინ პლატფორმის გამოყენების, ელექტრონული ბიბლიოთეკის შესახებ და სხვა

ორგანიზაციულ საკითხებზე. სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია და დახმარება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე პირადად ან ელექტრონული ფოსტით. შპს კავკასიის უნივერსიტეტის (საქართველოს რესპუბლიკა) და ნიუ ჯერსის სითი უნივერსიტეტის (ამერიკის შეერთებული შტატები) კიბერუსაფრთხოების ერთობლივი პროგრამის შესახებ შეთანხმების მემორანდუმში ნათქვამია, რომ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი ითანამშრომლებს კავკასიის უნივერსიტეტთან, რათა უზრუნველყოს ერთობლივ პროგრამაზე ჩარიცხული თითოეული სტუდენტის ორიენტირება; ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი სტუდენტებს აძლევს წვდომას ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე საკუთარ ან აფილირებულ ბიბლიოთეკაში. ამ პროგრამის სტუდენტებს საშუალება ექნებათ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მიიღონ კონსულტაცია და დახმარება დეკანის კაბინეტში, სტუდენტთა რეგისტრაციისა და სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში, ხარისხის მართვის დეპარტამენტსა და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებში. სტუდენტი მიიღებს კონსულტაციას და დახმარებას პასუხისმგებელი ლექტორისგან, რათა გაიუმჯობესოს მიღწევები კონკრეტულ კურსში, ინდივიდუალური მუშაობის ფარგლებში, ყოველკვირეულად ამ კურსის სილაბუსში მითითებული დროის მიხედვით. დაწესებულებაში ვიზიტის დროს კავკასიის უნივერსიტეტის, ასევე ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იღებენ შესაბამის კონსულტაციებს და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

სტუდენტებს საშუალება ექნებათ მიიღონ კარიერის განვითარებისა და დასაქმების სერვისები, რადგან კავკასიის უნივერსიტეტს აქვს კარიერული განვითარების და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომელიც სტუდენტებს ელ. ფოსტაზე რეგულარულად აწვდის დამსაქმებლების მიერ მიწოდებულ ვაკანსიებს და ახორციელებს მათი დასაქმებისთვის აუცილებელ პროცედურებს. უნივერსიტეტმა 2020-2021 წლებში ჩაატარა კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა, რომელშიც სტუდენტებმა გამოხატეს საშუალოზე მაღალი დონის კმაყოფილება კავკასიის უნივერსიტეტის კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სერვისებით. უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები დამსაქმებელთა ფართო სპექტრთან. დამსაქმებელთა კმაყოფილების 2020-2021 წლების კვლევა აჩვენებს, რომ დამსაქმებელი გამოხატავს კმაყოფილებას კავკასიის უნივერსიტეტით და მისი სტუდენტებით. ასევე, დაწესებულებაში ვიზიტის დროს, დამსაქმებლებმა გამოთქვეს დიდი ინტერესი ამ პროგრამის მიმართ და განაცხადეს, რომ მოხარული იქნებიან, მათ შესთავაზონ სამუშაო და ჩართონ სხვადასხვა პროექტში.

მნიშვნელოვანია, რომ სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა ისწავლონ ერთი სემესტრი ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში და მიიღონ მეტი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა პროფესორებისგან, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული სამუშაო გამოცდილება აშშ-ის შემდეგ სამთავრობო ორგანოებთან: NCA; CIA; FBI;

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებს საშუალება მიეცათ გასაუბრებოდნენ ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის (აშშ) სტუდენტებს, რომლებმაც კმაყოფილება გამოთქვეს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურისა და პერსონალის თაობაზე. მათ აღნიშნეს, რომ

იყენებენ სხვადასხვა ლაბორატორიას, აქვთ უსაფრთხოების კლუბი და იღებენ უამრავ ელ. წერილს დასაქმების შეთავაზებით.

კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებს მნიშვნელოვან მომსახურებას უწევს „ომბუდსმენის ოფისი“, რომელიც უნივერსიტეტში შეიქმნა კონსულტაციისა და დახმარების მიზნით უმაღლესი განათლების მიმართულებით საქართველოს კანონმდებლობის, სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების დაცვის, სტუდენტის სტატუსისა და მობილობის, შიდა გრანტებისა და პროგრამების, ასევე, გაცვლითი პროგრამების საკითხებზე. მეორე მხრივ, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი პასუხისმგებელი იქნება ჩარიცხვის ბოლო წელს სტუდენტებს მიაწოდოს განაცხადის შევსებისა და რეგისტრაციის ინსტრუქციები ერთობლივ საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთვის, რაც მოიცავს სტუდენტების ინფორმაციის შენახვას.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს, გასაუბრებაზე აღინიშნა უკვე დაგეგმილი საერთაშორისო პროექტები, როგორიცაა ჰაკათონები ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულია უამრავი ღონისძიება, როგორიცაა სტუმრების მიერ ჩატარებული მასტერ-კლასები და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სარეკლამო პროექტები. ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტში სტუდენტებს აქვთ დაცვის კლუბი და ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტში.

კავკასიის უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებები კომპიუტერული ინჟინერიის სკოლის სტუდენტებისთვის, რაც დამატებით შესაძლებლობებს აძლევს სტუდენტებს. 2020-2021 წლების სტუდენტების კმაყოფილების კვლევა და ინტერვიუს შედეგები აჩვენებს, რომ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას შიდა გრანტებისა და პროგრამების, გაცვლითი პროგრამების, შიდა მობილობის შესახებ; ზოგადად, ისინი კმაყოფილები არიან უნივერსიტეტის მომსახურებით საერთაშორისო მობილობის დაგეგმვის პროცესში. მონაცემები აჩვენებს, რომ კვლევის რესპონდენტთა 7%-მა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გაცვლით, სტიპენდიისა და მოკლევადიან სასწავლო პროგრამებში.

შექმნილ ვითარებაში კავკასიის უნივერსიტეტს აქვს საბიბლიოთეკო სივრცე, სადაც გროვდება როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული წიგნები, ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერები ელექტრონული წიგნებისთვის. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტებმა სილაბუსებიდან შეირჩიეს ლიტერატურა, რომელიც მოძიებული იქნა უნივერსიტეტის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე არა მხოლოდ საუნივერსიტეტო სივრციდან, არამედ სახლიდანაც. შემოწმდა სტუდენტური ელექტრონული პორტალი, რომელიც განახლების პროცესშია (ახლის შექმნა ხდება), თუმცა მათთვის ხელმისაწვდომია ის ძირითადი ინფორმაცია, რაც სტუდენტს სჭირდება სასწავლო პროცესში. ასევე, ვიზიტის დროს ექსპერტებს საშუალება მიეცათ დაეთვალიერებინათ ნიუ-ჯერსი სითი

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და უსაფრთხოების ლაბორატორია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ დაწესებულებაში ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან ჩატარებული ინტერვიუები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ პროგრამის კურსების სილაბუსები; ○ შეთანხმების მემორანდუმი შპს კავკასიის უნივერსიტეტსა (საქართველოს რესპუბლიკა) და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტს (ამერიკის შეერთებული შტატები) შორის კიბერუსაფრთხოების ერთობლივი პროგრამის შესახებ; ○ კავკასიის ტექნოლოგიური სკოლის დებულება; ○ კავკასიის უნივერსიტეტის დებულება სტუდენტის სტატუსის შესახებ; ○ პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმები; ○ დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმები; ○ სტუდენტების კმაყოფილების კვლევა 2020-2021 წლებში; ○ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევა 2020-2021 წლებში; ○ დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა 2020-2021 წლებში; ○ კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდი (https://www.cu.edu.ge/en).
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის მითითებული
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშიდან, პერსონალის რეზიუმეებიდან, თანდართული დოკუმენტაციიდან და უსდ-ს პერსონალთან გასაუბრებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პროგრამის განმახორციელებლები ჩართული არიან პროგრამაში კანონმდებლობისა და უნივერსიტეტების შიდა რეგულაციების შესაბამისად. პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა ორივე დაწესებულებიდან უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის განხორციელებაში ჩართული

დარგობრივი პერსონალი შეადგენს - 33-ს, მათ შორის 11 აკადემიური პერსონალი (6 პროფესორი, 3 აფილირებული პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 4 ასისტენტ პროფესორი) და 22 მოწვეული ლექტორი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პროგრამის დამატებით ძლიერ მხარეს წარმოადგეს ის, რომ ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიც ჩართულია სასწავლო პროცესში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალს აქვს სათანადო კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი განათლებით, პედაგოგიური გამოცდილებით, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომებით, საგრანტო პროექტებში ჩართულობით, საერთაშორისო თანამშრომლობითა და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობით, ასევე საერთაშორისო ტრენინგებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღებით.

მოწვეულ პერსონალს აქვს შესაბამისი მრავალწლიანი სამეცნიერო, აკადემიური ან მდიდარი პრაქტიკული გამოცდილება დარგში.
გასაუბრებისას გამოვლინდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში.

კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად, აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვის გარდა, არსებობს სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის ვალდებულება, რაც აძლიერებს პერსონალის ჩართულობას უნივერსიტეტის აკადემიურ და არააკადემიურ საქმიანობაში.

ორივე უნივერსიტეტიდან წარმოდგენილ პროგრამის მენეჯერებს აქვთ მაღალი კომპეტენცია და ფართო გამოცდილება სასწავლო გეგმის განვითარების/განახლების პროცესის ხელმძღვანელობისა და კოორდინირებისთვის. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის მენეჯერები არიან ლიდერობის დიდი გამოცდილების მქონე, აღიარებული ექსპერტები. მენეჯერი კავკასიის უნივერსიტეტიდან არის ახალგაზრდა მკვლევარი, რომელიც მონაწილეობს არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო საგრანტო საკონკურსო პროექტებში, როგორც პროექტის მენეჯერად, ასევე მკვლევარად. მას გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ სამეცნიერო ფორუმზე. იგი არაერთი სტიპენდიისა და ჯილდოს მფლობელია, მათ შორის ტექნოლოგიისა და ინჟინერიის დარგში 2018 წლის საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერის ტიტული აქვს მოპოვებული.

გასაუბრების დროს, გამოიკვეთა ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში. მათი ფუნქციები და პასუხისმგებლობები ასევე დეტალურად არის აღწერილი კავკასიის უნივერსიტეტის შინაგანაწესში.

საერთო ჯამში, ექსპერტთა ჯგუფი ადასტურებს პროგრამაში ჩართული პერსონალის

კომპეტენციას, ორივე დაწესებულება იჩენს ძალისხმევას და უზრუნველყოფს პერსონალის ჩართულობას პროგრამის შემუშავებასა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ კავკასიის უნივერსიტეტის დებულება; ○ აკადემიური/მოწვეული პერსონალის დოკუმენტაცია; ○ ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • არ არის მითითებული
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.

კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტთა გამოკითხვის საფუძველზე, უწყვეტად აფასებს და აანალიზებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას. გარდა ამისა, ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანალიზის საფუძველზე, ადგენს დასკვნებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. (დოკუმენტები _ „პერსონალის კმაყოფილების და შეფასების შედეგები 2020“, „პერსონალის საქმიანობის შეფასების შედეგები“). ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტში, აკადემიური პერსონალის შეფასება ხდება მსგავსად, სტუდენტთა უკუკავშირის, კოლეგათა შეფასებისა და სამეცნიერო პროდუქტიულობის ანალიზით.

აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა არაერთხელ ახსენა, რომ უნივერსიტეტი ინტერაქტიულად განიხილავს და ითვალისწინებს მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს.

კავკასიის უნივერსიტეტში არის გადამზადების ცენტრი, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიციური პერსონალის მოზიდვას, შენარჩუნებას, წახალისებას, მოტივირებასა და განვითარებას აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პოზიციებზე. მართვის პოლიტიკა ასევე მოიცავს წახალისების მეთოდებს, რაშიც შედის თანამშრომლის საქმიანობისა და მართვის შედეგების შეფასება, რაც თავის მხრივ იძლევა ანაზღაურებისა თუ სხვა ბონუსების ცვლილებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას.

სამეცნიერო კვლევითი შრომის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კვლევის მხარდაჭერის სამსახური აღრიცხავს კავკასიის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კვლევით საქმიანობას: ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში ჩართულობას, ასევე კვლევის შედეგებს (სტატიები, მონოგრაფიები). მთავარი საზომი ერთეულების ანალიზის საფუძველზე, გეგმავს აქტივოვებს, რომლებიც გააუმჯობესებს პერსონალის კომპეტენციას კვლევასა და ინოვაციაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის კმაყოფილებისა და შეფასების შედეგები 2020;
- პერსონალის მუშაობის შეფასების შედეგები;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის მითითებული

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტს აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა პროგრამის განსახორციელებლად. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს, შემოწმდა მატერიალური და ტექნიკური ბაზა. კერძოდ, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები, კომპიუტერული ლაბორატორია და აუდიტორიები.

კომპიუტერული კლასებისა და იქ არსებული კომპიუტერული მოწყობილობების რაოდენობა საკმარისია პროგრამის შეუფერხებლად განხორციელებისთვის. უნივერსიტეტის კამპუსს აქვს 400მბ/წ სიჩქარის ინტერნეტზე წვდომა, რაც უზრუნველყოფს ქსელის საკმარის გამტარუნარიანობას კიბერუსაფრთხოების ღონისძიებების პრაქტიკული შესაძლებლობების სიმულაციის და კიბერ საფრთხეების გამოვლენისა და მათზე რეაგირების პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად.

კავკასიის უნივერსიტეტს აქვს კარგად აღჭურვილი ბიბლიოთეკა, რომელსაც შეუძლია

სტუდენტების უზრუნველყოფა ელექტრონული თუ ბეჭდური სახელმძღვანელოებით. იქ სრულად წარმოდგენილია პროგრამის როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ლიტერატურა. ბიბლიოთეკა ასევე აღჭურვილია კომპიუტერებით. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია საერთაშორისო ელექტრონული რესურსები - EBSCO, ScienceDirect, Scopus და ა.შ. რომლითაც მათ აქვთ წვდომა თანამედროვე გამოცემებზე. ასევე ხელმისაწვდომია ელსევიერის ელექტრონული მონაცემთა ბაზა. სტუდენტებსა და პროფესორებს ამ რესურსებზე წვდომა აქვთ როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ასევე სახლიდან. გარე წვდომა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კომპიუტერული უზრუნველყოფის მეშვეობით. გასაუბრებისას, მსგავსი პროგრამის (ინფორმატიკის) სტუდენტებმა გამოხატეს ხელთარსებული რესურსებით კმაყოფილება. ზუმის მეშვეობით დავათვალიერეთ ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის პროგრამის კეთილმოწყობა; ასევე მათ მოგვიწყვეს ონლაინ ტური. ყოველივე ამან დაგვარწმუნა, რომ ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტს აქვს სათანადო ინფრასტრუქტურა პროგრამის განხორციელებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ დაწესებულებაში ვიზიტი; ○ გასაუბრება მენეჯმენტთან, სტუდენტებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ არ არის მითითებული
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კავკასიის უნივერსიტეტმა წარადგინა პროგრამის ბიუჯეტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი შემოსავლები და ხარჯები. ხარჯვითი ნაწილი მოიცავს სწავლების ხარჯებს: ლექტორების ხელფასებს, პროგრამის მომზადება-განვითარებას, კვლევით მიმართულებას, პროგრამის აკრედიტაციას, ლიტერატურას, ინტერნაციონალიზაციის აქტივობებსა და სხვა ხარჯებს. შემოსავლები ეფუძნება სტუდენტთა სწავლის საფასურს და უნივერსიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებს. პროგრამის ბიუჯეტი გამჭვირვალეა და ასახავს პროგრამის მოსალოდნელ შემოსავალს. იგი ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

როგორც პროგრამის ბიუჯეტიდან ვხედავთ, მხოლოდ კავკასიის უნივერსიტეტია პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი. კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტს შორის გაფორმებული შეთანხმების მემორანდუმის თანახმად, კავკასიის უნივერსიტეტმა, სტუდენტთა თითოეული ნაკადის მხარდასაჭერად, კონკრეტული რაოდენობის თანხა უნდა გადაუხადოს ნიუ ჯერსის უნივერსიტეტს ყოველწლიურად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- კავკასიის უნივერსიტეტისა და ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტის შეთანხმების მემორანდუმი;
- გასაუბრება მენეჯმენტთან.

რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • არ არის მითითებული
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • არ არის მითითებული
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეგულაციით. ხარისხის შიდა უზრუნველყოფა მოიცავს, სისტემურ გამოკითხვებს, სასწავლო გეგმის, მომსახურებებისა და რესურსების შეფასებებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყურადღებას ამახვილებს სემესტრულ და ყოველწლიურ გამოკითხვებზე; ეფექტური მონიტორინგის შენარჩუნებისა და განვითარების ტენდენციების გამოსავლენად, შეფასების შედეგების გაანალიზების მიზნით, ჩართული ჰყავს ყველა დაინტერესებული მხარე. ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი სრულად იზიარებს და უერთდება კავკასიის უნივერსიტეტის ძალისხმევას, განავითაროს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, უნივერსიტეტების შესაბამისი აკადემიური პერსონალის მონაწილეობით და უზრუნველყოს ერთობლივი პროგრამის კოორდინირება მისი ხარისხის უზრუნველყოფისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებისა და ონლაინ სააკრედიტაციო ვიზიტისას გამოვლენილი მიგნებების მიხედვით, პროგრამის შეფასება თანმიმდევრულია და შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის. გარდა ამისა, უფრო ფართო შეფასება მოიცავს პროგრამის ყოველწლიური შეფასების პროცესს; ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენელთა გუნდი და პროგრამის ხელმძღვანელები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, ერთმანეთს უზიარებენ პრინციპებსა და მექანიზმებს, რათა უზრუნველყონ პროგრამის სათანადო შიდა ხარისხის უზრუნველყოფა. პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა დაფუძნებულია „დაგეგმე-შეასრულე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე, პარტნიორი დაწესებულებები ახდენენ ამ ციკლის, როგორც უწყვეტი გაუმჯობესებისთვის აუცილებელი პრინციპის, ცენტრალიზებას. როცა საქმე სისტემური სტანდარტების ეფექტური განხორციელებისთვის საჭირო პროცედურებს ეხება, ორივე დაწესებულებას მსგავსი აღქმა აქვს, ისინი ყურადღებას ამახვილებენ გადამოწმებაზე, როგორც უმთავრეს ხელსაწყოზე. ჩატარდება მონიტორინგი და ანგარიშგება იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად მიაღწიეს პროცესებმა წინასწარგანსაზღვრულ ეფექტს, ასევე იმისათვის, რომ გამოვლინდეს პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართულნი იქნებიან შიდა ხარისხის შეფასების პროცესში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები თანამშრომლობენ და ხელს უწყობენ პროგრამის პერსონალის ჩართულობას, რათა უზრუნველყონ შეფასების კონსტრუქციული პროცესი; შესაბამისად, თვითშეფასების ანგარიში მზადდება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური ჩართულობით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა კოორდინირება გაუწიეს სუსტი მხარეებისა

და გამოწვევების იდენტიფიცირებას თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს, რაშიც ჩართული იყო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. საჭიროებასა და აუცილებლობაზე დაფუძნებული შეფასების გამოკითხვები, როგორც წესი, გამოიყენება შიდა ხარისხის შეფასების პროცესში, რათა მიზანმიმართულად გამოვლინდეს პრობლემები და უზრუნველყოფილი იყოს ჩარევა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს გამოკითხვები მიზანმიმართულია სტუდენტების საჭიროებებისა და სურვილების გამოვლენისკენ, ასევე, სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების ყოველწლიური გამოკითხვები ტარდება პროგრამის ზოგადი ადმინისტრირებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შესაფასებლად.
დოკუმენტაციამ, ასევე პარტნიორი დაწესებულებების პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრებებმა დაგვარწმუნა, რომ ხარისხის უზრუნველყოფა შეუფერხებლად ხდება ორივე დაწესებულებაში. უფრო მეტიც, ხარისხის უზრუნველყოფა პროგრამის შენარჩუნების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად გვევლინება. ექსპერტთა ჯგუფი დაარწმუნეს, რომ წლის განმავლობაში შენარჩუნდება კოორდინირებული მიდგომა, ყოველწლიური გუნდური შეხვედრები, ასევე ხშირი კონტაქტი პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის პერსონალს შორის. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ურჩევს ორივე დაწესებულებას, იმუშაოს შეფასებისა და ადმინისტრირების ცენტრალიზებულ სისტემაზე, საერთო ხარისხის უზრუნველყოფის ელექტრონული პლატფორმის შემუშავებასა და შეფასებაზე, რაც სასარგებლო იქნება მსგავსი კურსების შეფასების პროცესისთვის, შეფასების კვანძებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები; ○ გამოკითხვის ანგარიშები და ფორმები; ○ დისტანციური გასაუბრებები.
რეკომენდაციები: • არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ორივე დაწესებულებისთვის ხელსაყრელი იქნება, თუკი იფიქრებენ შეფასებისა და ადმინისტრირების ცენტრალიზებულ სისტემაზე, შეიმუშავებენ ელექტრონულ პლატფორმას საერთო ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებისა და მონიტორინგისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) • არ არის მითითებული
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი კავკასიის უნივერსიტეტში ხარისხის გარე შეფასება ძირითადად ხორციელდება აკრედიტაციისა და ავტორიზაციის პროცესების მეშვეობით, რასაც უზრუნველყოფს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. უნივერსიტეტი განიხილავს რეკომენდაციებსა და რჩევებს, მიგნებები კი წარედგინება სკოლებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე გატარებული ღონისძიებების შესაბამისობას. რამდენადაც კიბერუსაფრთხოების პროგრამა ახალია, დაწესებულება გამოხატავს სურვილს, რომ გაითვალისწინოს ყველა მიგნება და ეფექტურად გამოიყენოს შემდგომი განვითარებისთვის. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და განხორციელების კოორდინაციის პროცესში, კავკასიის უნივერსიტეტი და ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი იყენებს ერთობლივ ამერიკულ და ევროპულ მიდგომას ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფისთვის. რამდენადაც კავკასიის უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული მიდგომით, ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მეხუთე სტანდარტთან შესაბამისობას შუა შტატების კომისიის უმაღლესი განათლების აკრედიტაციისა და აფილირების მოთხოვნების მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამა პერიოდულად ფასდება გარე ექსპერტების, მათ შორის საერთაშორისო ექსპერტების მიერ. კიბერუსაფრთხოების პროგრამა შეფასდა უკრაინის ავიაციის ეროვნული უნივერსიტეტის კიბერუსაფრთხოების პროფესორის და შპს კავკასუს ონლაინის დარგობრივი ექსპერტის მიერ.

ორივე ექსპერტმა დადებითი შეფასება მისცა პროგრამას, ხაზი გაუსვა მის პერსპექტივებსა და მნიშვნელოვნებას დარგში კვალიფიციური პროფესიონალების მომზადების, სასწავლო გეგმის მრავალკულტურულობის, პრაქტიკული უნარებისა და პროფესიული ღირებულებების კუთხით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- გარე ექსპერტების შეფასებები;
- დისტანციური გასაუბრებები;

რეკომენდაციები:

- არ არის მითითებული

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არ არის მითითებული

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- არ არის მითითებული

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- არ არის მითითებული

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის

მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის განვითარებისა და სერვისის გაუმჯობესებისთვის, კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უზრუნველყოფს უწყვეტ მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას. შეფასების პროცესი მოიცავს შიდა და გარე სუბიექტებს. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვა წარმოადგენს უნივერსიტეტის სტრატეგიული ხედვების განხორციელების ცენტრალურ ხელსაწყოს. მონიტორინგის პროცესი ეფუძნება გამჭვირვალობისა და გაზიარების, ასევე თანამონაწილეობის, უწყვეტობის, აკადემიური კეთილსინდისიერების, თავისუფლებისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებს. ყოველი სავალდებულო კურსის დასასრულს, სტუდენტები აფასებენ კურსს კურსის შეფასების ფორმის შევსებით. თუ სტუდენტთა რაოდენობა ძალიან დაბალია წარმომადგენლობითი შედეგების მისაღებად, მაშინ ტარდება ფოკუს ჯგუფები. საჭიროებებზე დაფუძნებული შეფასებითი გამოკითხვები გამოიყენება პრიორიტეტებისა და გაუმჯობესებული მხარეების გამოსავლენად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური მონიტორინგის პროცესი. შეფასების პროცესის შედეგები ვრცელდება დაინტერესებულ მხარეებში და გამოიყენება პროგრამის გაუმჯობესებისათვის.

ყოველი სემესტრის დასასრულს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და სკოლების მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები განიხილება სკოლის საბჭოების მიერ. შეფასების შედეგები გამოიყენება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ, საგანმანათლებლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

ნიუ ჯერსი სითი უნივერსიტეტის მონიტორინგის პროცესი თითქმის იგივეა. როგორც შეთანხმებით არის განსაზღვრული, მონიტორინგის შედეგები და ანგარიშები შესრულდება ერთობლივი ჯგუფის მიერ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისთვის, რის შემდეგაც განისაზღვრება პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმები და დამატებითი აქტივობები.

ორივე დაწესებულების აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, გამოვლინდა რომ არსებობს მოლოდინი, მეტად ჩართული იყვნენ გამოცდილების გაზიარების მიზნით. რამდენადაც პროგრამა ერთობლივად ადმინისტრირდება, ორივე დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ოფიციალური და /ან არაფორმალური შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით პლატფორმის შესაქმნელად, დაეხმარებოდა პროგრამას შემდგომი განვითარებისთვის. გარდა ამისა, პროგრამას აქვს შესაძლებლობა ჩაატაროს ურთიერთშეფასება კოლეგების მიერ, როგორც იმავე პროგრამიდან, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტებიდან.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას არსებული საუკეთესო პრაქტიკისთვის, რათა განავითაროს საერთაშორისო დონის და კონკურენტული პროგრამა. რამდენადაც პროგრამა უნიკალურია და ახალი ქართულ საგანმანათლებლო ბაზარზე, პროგრამის მხოლოდ საერთაშორისო ანალოგების ნიშნულების განსაზღვრა განხორციელდა. პროგრამა იზიარებს მოწინავე უნივერსიტეტების გამოცდილებას, განსაკუთრებით აშშ-ს 4 უნივერსიტეტის, რომელთა სასწავლო გეგმებიც გაანალიზდა. დაკვირვება განხორციელდა არაერთ საერთო კურსებზე, რომლებმაც გავლენა მოახდინა პროგრამის შემუშავების პროცესზე. საერთო ჯამში, კიბერუსაფრთხოების პროგრამა შეიცავს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ პრაქტიკებსა და მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში; o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; o ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები; o შეფასების ფორმები და გამოკითხვის შედეგები; o საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი; o დისტანციური გასაუბრებები;
რეკომენდაციები: o არ არის მითითებული
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ორივე დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ოფიციალური და /ან არაფორმალური შეხვედრების ორგანიზება, გამოცდილების, უნარებისა და ცოდნის გაზიარების მიზნით პლატფორმის შესაქმნელად, დაეხმარებოდა პროგრამას შემდგომი განვითარებისთვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o არ არის მითითებული
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) o არ არის მითითებული
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა o შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს კავკასიის უნივერსიტეტი, ნიუ-ჯერსი სითი უნივერსიტეტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: „კიბერუსაფრთხოების“ ერთობლივი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 40

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:</u>

ჯოფრი ნორმან დიკი

<u>აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი:</u>

მიხეილ რუხაია

გიორგი ბეროშვილი

თამთა ცხოვრებაძე

დავით კაკიაშვილი